ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში

2019 წლის გამოკითხვის ანგარიში

თბილისი

2019 წელი

გამოკითხვა ჩაატარა CRRC საქართველომ, ევროპის ფონდის დაკვეთით, შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (Sida) და დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Danida) მხარდაჭერით. ანგარიში მოამზადა თინათინ ზურაბიშვილმა.

შინაარსი

მოკლე მიმოხილვა 3

საქართველო და ევროკავშირი 4

ცოდნა ევროკავშირის შესახებ 4

ინფორმაციის წყაროები 6

წარმოდგენები ევროკავშირის შესახებ 7

ევროკავშირი საქართველოსთვის 10

ევროინტეგრაცია 13

ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებული მოლოდინები 15

ვიზალიბერალიზაცია 16

საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური შეხედულებები და ღირებულებები . 17

პოლიტიკური შეხედულებები 17

ღირებულებები 20

დანართი #1. კვლევის მეთოდოლოგია 24

დანართი #2. ეთნიკური უმცირესობები 25

მოკლე მიმოხილვა

2019 წელს ევროპის ფონდი უკვე მეექვსედ ატარებს კვლევას ევროკავშირის მიმართ საქართველოს მოსახლეობის ცოდნისა და დამოკიდებულების შესაფასებლად. გამოკითხვა 2009 წლიდან ორ წელიწადში ერთხელ ტარდება მაქსიმალურად იდენტური კითხვარის გამოყენებით, რათა შესაძლებელი იყოს სხვადასხვა წლის გამოკითხვით მიღებული შედეგების შედარება და დაკვირვება, თუ როგორ იცვლება მოსახლეობის ცოდნა და მოლოდინები ევროკავშირის, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის პროცესის მიმართ. გამოკითხვის ყველა ტალღაში ნათლად ჩანს, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დადებითადაა განწყობილი ევროკავშირისა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისადმი. თუმცა, ხშირად ეს ენთუზიაზმი არ ემყარება საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების სპეციფიკისა და ევროკავშირის, როგორც ინსტიტუტის, შესახებ სიღრმისეულ ცოდნას.

გარდა საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებების ზოგადი შეფასებისა, კვლევა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულებების დინამიკაზე დაკვირვების საშუალებასაც იძლევა, დასახლებული პუნქტის ტიპის (დედაქალაქის, სხვა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა), ან ქართულენოვანი მოსახლეობისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჯგუფებისთვის. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მოსაზრებების მიზანმიმართული კვლევა 2013 წლიდან მიმდინარეობს. შესაბამისად, 2013 წლიდან შესაძლებელია ქართულენოვანი მოსახლეობისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა დამოკიდებულებების შედარება.

ანგარიშის პირველ ნაწილში შეფასებულია მოსახლეობის ცოდნა და წარმოდგენები ევროკავშირის, როგორც ინსტიტუტის, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებისა და ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარების შესახებ. ასევე, თუ რა წყაროებიდან იღებს მოსახლეობა ამ ინფორმაციას და რა მოლოდინები აქვს ევროინტეგრაციის პროცესის მიმართ. გამოკითხვის შედეგები უჩვენებს, რომ 10 წელია საქართველოს მოსახლეობა სტაბილურად დადებითად და იმედიანადაა განწყობილი ევროინტეგრაციისადმი. თუმცა, ეს მოლოდინები ეყრდნობა მოსახლეობის შედარებით ზედაპირულ ცოდნას ევროკავშირის, როგორც ინსტიტუტისა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების საკვანძო ეტაპების შესახებ. გამოკითხვის შედეგები ასევე ადასტურებს, რომ საჭიროა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მეტი ინფორმაცია მიეწოდებოდეთ მათთვის ხელმისაწვდომი წყაროების მეშვეობით. ამავდროულად, მოსახლეობა ევროკავშირს მოიაზრებს ქვეყნისთვის სასურველ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარტნიორად და, მიუხედავად გაცნობიერებული რისკებისა და სირთულეებისა, მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას.

ანგარიშის მეორე ნაწილი ქვეყნის მოსახლეობის ზოგადი პოლიტიკური შეხედულებებისა და ღირებულებების დინამიკას, პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობასა და პოლიტიკურ სიმწიფეს აღწერს. 11 წლის შედეგების თანახმად, მოსახლეობა ტრადიციონალისტური ღირებულებების ერთგული რჩება და, ამავდროულად, უფრო და უფრო ნაკლებ ნდობას უცხადებს ისეთ ძირითად სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს, როგორებიცაა: პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტი თუ პოლიტიკური პარტიები.

ხშირად თვალშისაცემი განსხვავებებია ეთნიკური უმცირესობების, სოფლად მცხოვრები მოსახლეობისა და ქართულენოვან, ან დედაქალაქში მცხოვრები მოსახლეობის ღირებულებებს შორის.

ევროპის ფონდის გამოკითხვების ყველა ტალღის მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომია CRRC-საქართველოს მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებ-გვერდზე - https://caucasusbarometer.org/en/datasets/.

საქართველო და ევროკავშირი

ცოდნა ევროკავშირის შესახებ

ევროპის ფონდის მიერ ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, ევროკავშირის, მისი სტრუქტურებისა და ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ საქართველოს მოსახლეობის ცოდნის დონე საკმაოდ სტაბილურია. ამის ერთ-ერთი მაგალითია ცოდნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე, რომელსაც ხელი 2014 წლის ივნისში მოეწერა. შეთანხმება 2016 წლის 1 ივლისს სრულად შევიდა ძალაში[1]. 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის 42%-მა უპასუხა, რომ სმენია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე. თუმცა, საგულისხმოა, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შორის ეს წილი მხოლოდ 14%-ია. ზოგადად, რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით უფრო დიდია მოსახლეობის წილი, ვინც იცის ამ შეთანხმების შესახებ. მაგალითისთვის, ასოცირების შეთანხმების შესახებ სმენია მათ 60%-ს, ვისაც მაგისტრის ხარისხი აქვს მიღებული. საქართველოს მოსახლეობის ინფორმირების ყველაზე მაღალი დონე ამ საკითხის შესახებ ევროპის ფონდის გამოკითხვების 2015 წლის ტალღის შედეგებში დაფიქსირდა – ოთხი წლის წინ 63%-მა უპასუხა, რომ სმენია ამ დოკუმენტის შესახებ. ეს შედეგი ლოგიკურია, რამდენადაც სწორედ 2015 წლის ტალღის წინა პერიოდში ეს შეთანხმება განსაკუთრებული ინტენსივობით შუქდებოდა.

მხოლოდ მათ შესახებ თუ ვისაუბრებთ, ვისაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე სმენია, 81%-ის აზრით, შეთანხმება დადებითად აისახება ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გაყიდვის შესაძლებლობაზე. ინტერვიუების დროს განხილული სფეროებიდან[2] დადებითი მოლოდინის სიძლიერით გამოირჩევა ჯანდაცვა და უმაღლესი განათლების ხარისხი (78%-78% ელის მდგომარეობის გაუმჯობესებას ამ ორ სფეროში). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მოლოდინები ქართულენოვანი მოსახლეობის მოლოდინების მსგავსია.

სხვა სფეროებთან დაკავშირებით არსებული მოლოდინებიც საკმაოდ მაღალია: მათი უმრავლესობის აზრით, ვისაც სმენია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე, ეს შეთანხმება დადებითად აისახება

[1] https://eeas.europa.eu/delegations/georgia_en/9740/EU/Georgia%20Association%20Agreement

[2] კითხვა 13 სფეროს ეხებოდა: საქართველოს უსაფრთხოება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხი, მცირე და საშუალო საწარმოების მუშაობის პირობები, საშუალო განათლების ხარისხი, უმაღლესი განათლების ხარისხი, პრესის თავისუფლება, ჯანდაცვა, სასამართლოების დამოუკიდებლობა, ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენება, საჯარო სამსახურების ანგარიშვალდებულება, ქართული პროდუქციის გაყიდვა ევროკავშირის ბაზარზე, დასაქმება, ევროკავშირის ქვეყნების გრძელვადიანი ვიზების მიღების გამარტივება საქართველოს მოქალაქეებისთვის.

საჯარო სამსახურების ანგარიშვალდებულებაზე მოსახლეობის წინაშე (ასე უპასუხა 70%-მა), ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენებაზე (69%), სასამართლოების დამოუკიდებლობაზე საქართველოში (68%) და საქართველოს მოსახლეობის დასაქმებაზე (66%). მათი წილი, ვინც პასუხობს, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შედეგად არ გაუმჯობესდება ვითარება ამა თუ იმ სფეროში, არასოდეს აღემატება 25%-ს, ხშირად კი ბევრად უფრო მცირეა.

თვალშისაცემია პასუხების დინამიკა კითხვაზე, არის თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრი. 2009 წლიდან 2015 წლამდე იზრდებოდა სწორი პასუხების წილი. თუმცა, 2017 და 2019 წლების ტალღებში არასწორი პასუხების ყველაზე მაღალი წილი დაფიქსირდა – ორივე შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობის 16% საქართველოს ევროკავშირის წევრად მიიჩნევს. ეს შედეგი არ განსხვავდება დასახლებული პუნქტის ტიპის ან ეთნიკური ჯგუფის მიხედვით. საინტერესოა კიდევ ორი დაკვირვება: 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით თანაბარმა წილმა უპასუხა სწორად, რომ არც საქართველო და არც რუსეთი არ არიან ევროკავშირის წევრები (შესაბამისად, 75% და 73%). მეორე დაკვირვების თანახმად, შედარებით მყარდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ცოდნა იმის შესახებ, რომ რუსეთი არ არის ევროკავშირის წევრი: თუ 2013 წელს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 19%-მა უპასუხა, რომ რუსეთი ევროკავშირის წევრია, 2019 წელს შესაბამისი წილი 7%-მდე შემცირდა.

2019 წელს მოსახლეობის მხოლოდ 27%-მა გასცა სწორი პასუხი კითხვას, თუ რამდენი ქვეყანაა ამჟამად ევროკავშირის წევრი; ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში კი საუბარია მხოლოდ 17%-ზე.[3] აღსანიშნავია, რომ 2013 წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი უმნიშვნელოდ მერყეობს. 2017 წელთან შედარებით შემცირებულია სწორი პასუხების წილი კითხვაზეც, არის თუ არა საქართველო ევროსაბჭოს წევრი (43%-დან 37%-მდე).

2017 წლის შემდეგ მცირედით, მაგრამ გაზრდილია სწორი პასუხების წილი კითხვაზე, თუ რას საქმიანობს ევროკავშირის მონიტორინგის მისია საქართველოში: 2017 წელს მოსახლეობის 19%-მა უპასუხა, რომ ეს მისია ხელს უწყობს სიტუაციის დარეგულირებას 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ ადგილებში, ხოლო 2019 წელს შესაბამისი წილი 25%-მდე გაიზარდა.[4] ამასთან, შემაშფოთებელია, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხოლოდ 3%-მა გასცა სწორი პასუხი ამ კითხვას.

ევროპის ფონდის გამოკითხვის უახლესი შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს მოსახლეობის ცოდნის დონე ევროკავშირისა და მისი სტრუქტურების შესახებ 2017 წელს დაფიქსირებული დონის ანალოგიურია. მოსახლეობის უმრავლესობა სწორად პასუხობს კითხვებს ევროკავშირთან დაკავშირებული საკვანძო ფაქტებისა და მოვლენების შესახებ. ამავდრულად, გამოკითხვის შედეგები უჩვენებს, რომ მოსახლეობა გაცილებით უკეთაა ინფორმირებული საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების შესახებ, ვიდრე

---

[3] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რესპონდენტებს არ მოეთხოვებოდათ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ზუსტი რაოდენობის დასახელება. კითხვისთვის- „**რამდენი ქვეყანაა ამჟამად ევროკავშირის წევრი?**“ გამოყენებული იყო ბარათი პასუხის შემდეგი ვარიანტებით: „10-მდე“, „11-დან 20-მდე“, „21-დან 30-მდე“, „31-დან 40-მდე“ და „40-ზე მეტი“. მოსალოდნელია, რომ ბარათის გარეშე სწორი პასუხების წილი ნაკლები იქნებოდა.

[4] საველე სამუშაოების დროს გამოყენებული იყო ბარათი.

ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ, ქართულენოვან მოსახლეობასთან შედარებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა კვლავინდებურად ნაკლები იციან ევროკავშირის შესახებ.

ინფორმაციის წყაროები

წინა წლების ანალოგიურად, ევროკავშირის შესახებ საქართველოს მოსახლეობის ინფორმაციის ძირითად წყაროდ ტელევიზია რჩება. 5-ბალიანი სკალის გამოყენებით, სადაც „5“ შეესაბამებოდა პასუხს – „ძალიან ბევრ ინფორმაციას ვიღებ“ და „1“ – „არ ვიღებ არანაირ ინფორმაციას“, 2019 წელს მოსახლეობის 29%-მა უპასუხა, რომ ბევრ ან ძალიან ბევრ ინფორმაციას იღებს ევროკავშირის შესახებ ტელევიზიით (შეთავაზებული სკალის მე-4 და მე-5 პოზიციების ჯამი), და 22%-მა - რომ არ იღებს არანაირ ინფორმაციას ამ წყაროს მეშვეობით (სკალის 1-ლი პოზიცია). სიხშირით მეორე ინფორმაციის წყაროდ სოციალური ქსელები დასახელდა - მოსახლეობის 13% იღებდა ბევრ ან ძალიან ბევრ ინფორმაციას ამ წყაროდან.

განსხვავებული სურათია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში, თუმცა ყველაზე ხშირად დასახელებული ინფორმაციის წყარო მათ შემთხვევაშიც ტელევიზიაა. უმცირესობების 20% პასუხობს, რომ ევროკავშირის შესახებ ბევრ ან ძალიან ბევრ ინფორმაციას იღებს ამ წყაროდან. თითქმის ორჯერ მეტი კი (37%) პასუხობს, რომ ევროკავშირის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ იღებს ტელევიზიიდან.

მოსახლეობა უაღრესად იშვიათად ასახელებს ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის წყაროდ ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრს, სხვა სამთავრობო სტრუქტურებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში, საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ისევე როგორ რადიოს, გაზეთებსა და ჟურნალებს.

2013 წლიდან მოყოლებული მოსახლეობის თითქმის ნახევარს სტაბილურად სურს მეტი ინფორმაციის მიღება ევროკავშირის შესახებ. კერძოდ, 2019 წლის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობას განსაკუთრებით აინტერესებს საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები (34%), ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამები (30%) და ევროკავშირის როლი ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებაში (30%)[5]. ხოლო ისეთი საკითხები, როგორებიცაა ევროკავშირის ინსტიტუტები (სტრუქტურები) (4%), ევროკავშირის კულტურული პროგრამები (10%) და ვიზის მიღების გზები ევროკავშირის ქვეყნებში (11%) ნაკლებ ინტერესს იწვევს.

მათ შორის, ვინც აცხადებს, რომ მეტი ინფორმაციის მიღება სურს ევროკავშირის შესახებ, 72% ამ ინფორმაციის მიღებას ტელევიზიის მეშვეობით ისურვებდა. დასახელების სიხშირით მეორე ადგილზეა სოციალური ქსელები (30%).

---

[5] კითხვას: „**კერძოდ, რა სახის ინფორმაციის მიღებას ისურვებდით ევროკავშირის შესახებ?**“ უპასუხეს მხოლოდ იმ რესპონდენტებმა, ვინც კითხვაზე: “**ისურვებდით თუ არა მეტი ინფორმაციის მიღებას ევროკავშირის შესახებ?**” უპასუხა – *„დიახ“*. მოყვანილია ამ ჯგუფის მიერ გაცემული დადებითი პასუხების წილი.

მაშინაც კი, როდესაც ზოგადად მიმდინარე მოვლენების შესახებაა საუბარი, ევროპის ფონდის გამოკითხვების 2019 წლის ტალღის შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პოლიტიკური მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით საქართველოს მოსახლეობა აქტიურად იყენებს სატელევიზიო არხებს. ისევე როგორც 2017 წელს, იმედი და რუსთავი-2 რჩება წამყვან საინფორმაციო სატელევიზიო არხებად მათი ქართულენოვანი აუდიტორიის ოდენობის თვალსაზრისით: მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი პოლიტიკური მოვლენების გაშუქებას სწორედ ამ არხებით ადევნებს თვალს ყოველდღიურად.[6] ამასთან, მოსახლეობის 23%-მა განაცხადა, რომ საერთოდ არ უყურებს რუსთავი-2-ს (თუმცა ეს არხი აქვს), 20%-მა თქვა იგივე იმედის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ რუსთავი-2 და იმედი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხოლოდ 10%-ისთვის არის ინფორმაციის ყოველდღიური წყარო.

საქართველოს მასშტაბით, 2017 წელთან შედარებით გაზრდილია ტვ პირველის პოლიტიკური გადაცემების ყოველდღიური აუდიტორია (4%-დან 16%-მდე), ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემებს ყოველდღიურად ადევნებს თვალს ქართულენოვანი მოსახლეობის 17% და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 9%.

2019 წელს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 27%-მა უპასუხა, რომ ყოველდღიურად ადევნებს თვალს პოლიტიკური მოვლენების გაშუქებას რუსეთის რომელიმე სატელევიზიო არხზე. ეთნიკური უმცირესობების სტრატაში შემავალ სომხურენოვანთა 77% აცხადებს, რომ ყოველდღიურად უყურებს სომხეთის რომელიმე სატელევიზიო არხს, აზერბაიჯანულენოვანთა 61% ყოველდღიურად უყურებს აზერბაიჯანისა ან თურქეთის რომელიმე სატელევიზიო არხს.

სიახლე არ არის, რომ ტელევიზია ინფორმაციის ყველაზე გავრცელებული და, ამავდროულად, ყველაზე მოთხოვნადი წყაროა საქართველოში. ევროპის ფონდის გამოკითხვების შედეგები მიუთითებს, რომ საჭიროა ამ წყაროს უფრო ეფექტური გამოყენება ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის გასავრცელბლად. სავარაუდოა, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ არაქართულენოვანი საინფორმაციო პროგრამების მოხმარება განაპირობებს მათ ნაკლებინფორმირებულობას ქართულენოვან მოსახლეობასთან შედარებით.

წარმოდგენები ევროკავშირის შესახებ

საქართველოში კვლავინდებურად ფართოდაა გავრცელებული დადებითი წარმოდგენები ევროკავშირის შესახებ. მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედისთვის ევროკავშირი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას (27%), ან პოლიტიკურ გაერთიანებას (25%), 18%-სთვის ევროკავშირი, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური გაერთიანებაა.[7] ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები დაახლოებით ერთნაირი სიხშირით ასახელებენ პასუხის სამივე ვარიანტს (შესაბამისად, 13%, 18% და 15%), თუმცა თვალშისაცემია, რომ ამ სტრატის წარმომადგენელთა 42%-ს გაუჭირდა პასუხის

[6] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2019 წლის საველე სამუშაოები ჩატარდა მარტში, რუსთავი 2-ის გარშემო განვითარებული მოვლენების დაწყებამდე.

[7] ამ კითხვის მიზანი არ იყო ცოდნის დონის გაზომვა და კითხვას არ აქვს „სწორი“ და „არასწორი“ პასუხები. კითხვა: „**თქვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, რა არის ევროკავშირი?“** მიზნად ისახავდა იმის დანახვას, თუ როგორია საქართველოს მოსახლეობის წარმოდგენა ამ გაერთიანების შესახებ, როგორ ხედავს მოსახლეობა ევროკავშირს.

გაცემა ამ კითხვაზე. საინტერესოა, რომ 2013 წელს საქართველოს მოსახლეობის მიერ ხშირად დასახელდა პასუხი – „საერთაშორისო ორგანიზაცია“ (35%), მაგრამ შემდგომ წლებში ამ პასუხის სიხშირე იკლებდა და 2019 წელს 27%-მდე დაეცა (იხ. ცხრილი #1). ევროკავშირი უაღრესად იშვიათად აღიქმება, როგორც სამხედრო ბლოკი, კულტურული გაერთიანება, ან არასამთავრობო ორგანიზაცია.

ცხრილი 1.

თქვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, რა არის ევროკავშირი?[8] *(%)*

	2013	2015	2017	2019
სამხედრო ბლოკი	4	5	3	4
საერთაშორისო ორგანიზაცია	35	30	30	27
ეკონომიკური გაერთიანება	19	16	21	18
პოლიტიკური გაერთიანება	22	24	27	25
არასამთავრობო ორგანიზაცია	1	1	1	2
კულტურული გაერთიანება	1	2	2	3
სხვა / ამ ბარათიდან არც ერთი	0	1	2	2
არ ვიცი / უარი პასუხზე	18	20	15	18

ხშირ შემთხვევაში შენარჩუნებულია განსხვავებები ქართულენოვანი მოსახლეობისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შეფასებებს შორის. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია სპეციფიკური ასპექტების შეფასებისას. მაგალითად, თუ ქართულენოვანი მოსახლეობის 80% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ „ევროკავშირი მშვიდობისა და უსაფრთხოების წყაროა ევროპაში“[9], ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლთა შესაბამისი წილი 44% იყო. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 36%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა ამ კითხვაზე, მაშინ, როდესაც ქართულენოვანი მოსახლეობის მხოლოდ 8%-მა ვერ უპასუხა ამ კითხვას.

საქართველოს მოსახლეობა ცალსახად ეთანხმება მოსაზრებებს, რომ ევროკავშირი დემოკრატიული გაერთიანებაა (72%), ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქვეყნებში (71%) და აგრეთვე ხელს უწყობს მის ფარგლებს გარეთ მყოფი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას (66%). კვლავინდებურად სწორი იქნება თქმა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის ევროკავშირი ასოცირდება მშვიდობასთან, უსაფრთხოებასა და დემოკრატიასთან.

ბოლო წლების მანძილზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მოსახლეობის შეფასებები იმასთან დაკავშირებით, უქმნის თუ არა ევროკავშირი საფრთხეს ქართულ ტრადიციებს. 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის 46% არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას, თუმცა საკმაოდ მაღალია მათი წილი, ვინც დაეთანხმა მას (42%). ცდომილების გათვალისწინებით, განსხვავება ამ ორ ჯგუფს შორის უაღრესად

[8] ეს კითხვა 2013 წლიდანაა კითხვარში. კითხვისთვის გამოყენებული იყო ბარათი. პასუხის ვარიანტები: „სხვა“, „ამ ბარათიდან არც ერთი“, „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ არ იყო ბარათზე.

[9] პასუხების ჯამი: „სრულად ვეთანხმები“ (24%) და „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“ (56%).

მცირეა[10]. საინტერესოა, რომ საქართველოს მოსახლეობის წილი, ვინც არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს, ევროპის ფონდის გამოკითხვების შედეგების თანახმად, ფაქტობრივად უცვლელია 2009 წლის შემდეგ (45%-49%); ერთადერთ გამონაკლისს 2015 წელი წარმოადგენს, როდესაც საქართველოს მოსახლეობის 34% არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას, თუმცა 2017 წელს შესაბამისი წილი 49%-მდე გაიზარდა. მეორე მხრივ, სწორედ 2015 წელს გაიზარდა მოსახლეობის წილი, ვინც დაეთანხმა ამ მოსაზრებას: 2015 წელს, საქართველოს მოსახლეობის 45%-ის აზრით, ევროკავშირი საფრთხეს უქმნიდა ქართულ ტრადიციებს, მათგან 19% სრულად ეთანხმებოდა ამ მოსაზრებას. გამოკითხვის შემდეგ ტალღებში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა: 2017 წელს მოსახლეობის 41% დაეთანხმა ამ მოსაზრებას, ხოლო 2019 წელს – 42%.

2009 წლის შემდეგ გაზრდილია მოსახლეობის წილი, ვინც ეთანხმება მოსაზრებას, რომ ევროკავშირი იმპერიის ახალი ფორმაა (17%-დან 33%-მდე). თუმცა, ჭარბობს მათი წილი, ვინც ამ მოსაზრებას არ ეთანხმება (40%). საქართველოს მოსახლეობისთვის განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა ამ დებულების შეფასება: ქართულენოვანი მოსახლეობის 26%-სა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 42%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა ამ კითხვაზე.

ქართულენოვანი მოსახლეობა ევროკავშირს, ისევე როგორც აშშ-ს, ყველაზე ხშირად ასახელებს იმ გაერთიანებებად, რომლებთანაც საქართველოს უნდა ჰქონდეს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა.[11] პოლიტიკურ თანამშრომლობაზე თუ ვისაუბრებთ, როგორც 2017, ასევე 2019 წელს ევროკავშირი დაასახელა ქართულენოვანი მოსახლეობის 56%-მა, ხოლო აშშ - 58%-მა. ეს მაჩვენებლები შემცირებულია 2013 წელთან შედარებით – 6 წლის წინ ევროკავშირი ქართულენოვანი მოსახლეობის 69%-მა დაასახელა, ხოლო აშშ - 64%-მა. ეკონომიკურ თანამშრომლობას რაც შეეხება, 2019 წელს ევროკავშირიცა და აშშ-ც ქართულენოვანი მოსახლეობის 50%-50%-მა დაასახელა. დასახელების სიხშირით მესამე ადგილზე რუსეთია (39%), თუმცა წლიდან წლამდე ქართულენოვანი მოსახლეობის მიერ რუსეთის დასახელების სიხშირე სტაბილურად იკლებს: 2013 წელს რუსეთი 65%-მა დაასახელა, 2015 წელს – 53%-მა, 2017 წელს – 48%-მა. განსხვავებული სურათია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შემთხვევაში: მათი აზრით, საქართველოს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა უნდა ჰქონდეს რუსეთთან (57%), აზერბაიჯანთან (44%), თურქეთთან (35%), ევროკავშირთან (23%), აშშ-სა (16%) და სომხეთთან (14%).[12] თუმცა, თვალშისაცემია, რომ რუსეთის დასახელების სიხშირე ამ ჯგუფშიც

[10] ვინაიდან მასობრივი გამოკითხვების დროს გამოიკითხება მოსახლეობის წარმომადგენლობითი ნაწილი (შერჩევითი ერთობლიობა), და არა მთელი მოსახლეობა, ამ გამოკითხვების შედეგებს მუდამ გარკვეული ცდომილება ახასიათებს. მასობრივი გამოკითხვების შედეგები ყოველთვის ამ ცდომილების გათვალისწინებით უნდა განიხილებოდეს: თუ გამოკითხვის შედეგად მიღებული მაჩვენებელი, მაგალითად, 43%-ია, ხოლო ცდომილება +/-2%-ია, ეს ნიშნავს, რომ მთელი მოსახლეობის გამოკითხვის შემთხვევაში შესაბამისი მაჩვენებელი იქნებოდა 41%-დან 45%-მდე. ამიტომ განსხვავება, მაგალითად, 43%-სა და 44%-ს შორის არ არის დამაჯერებელი, ვინაიდან მთელი მოსახლეობის გამოკითხვის შემთხვევაში შესაბამისი მაჩვენებლები შეიძლება არ განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მასობრივი გამოკითხვების შედეგების განხილვისას მიღებულ მაჩვენებლებს შორის არსებული მხოლოდ ისეთი განსხვავებია დამაჯერებელი, რომლებიც ცდომილებას სცილდება.

[11] ამ კითხვებისთვის გამოყენებული იყო ბარათი, რომელზეც დასახელებული იყო 14 ქვეყანა ან გაერთიანება. რესპონდენტს სამი პასუხის ვარიანტის შერჩევის საშუალება ჰქონდა.

[12] ეკონომიკური თანამშრომლობის შემთხვევაში მსგავსი სურათია.

მცირდება: 2013 წელს რუსეთი დაასახელა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 71%-მა.

ევროპის ფონდის გამოკითხვების შედეგების დინამიკის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის წარმოდგენები ევროკავშირის შესახებ კვლავინდებურად დადებითია, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის ევროკავშირი ასოცირდება მშვიდობასთან, უსაფრთხოებასა და დემოკრატიასთან. ქართულენოვანი მოსახლეობა ევროკავშირსა და აშშ-ს მოიაზრებს საქართველოსთვის ყველაზე სასურველ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პარტნიორებად. ქართულენოვანი მოსახლეობისგან განსხვავებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ყველაზე სასურველ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პარტნიორად რუსეთს მიიჩნევენ. თუმცა, წინა წლებთან შედარებით რუსეთის დასახელების სიხშირე ამ ჯგუფშიც საგრძნობლად შემცირებულია.

ევროკავშირი საქართველოსთვის

საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ინფორმაციით, ბოლო წლების მანძილზე ევროკავშირი ყოველწლიურად 100 მილიონ ევროს გამოყოფს საქართველოში განხორციელებული პროექტების მხარდასაჭერად.[13] ეს პროექტები განსხვავებულ სფეროებს ეხება – სოფლის მეურნეობის განვითარება, ენერგორესურსების განვითარება, განათლების სისტემის რეფორმა, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება, მართლმსაჯულების რეფორმა, ადამიანის უფლებების დაცვა და სხვა.

კვლავინდებურად აბსოლუტურ უმცირესობას წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის წილი, ვისაც მიაჩნია, რომ ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარება საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი (3%). ქართულენოვანი მოსახლეობის 5%-სა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 26%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა ამ კითხვაზე, თუმცა უფრო საგულისხმოა ის გარემოება, რომ ძალიან განსხვავებულია ამ ორი ჯგუფის წარმომადგენელთა წილი, ვინც ამ დახმარებას აფასებს, როგორც „მნიშვნელოვანს“ ან „ძალიან მნიშვნელოვანს“: ქართულენოვანი მოსახლეობის შემთხვევაში საუბარია 85%-ზე და მათ შორის 34% პასუხობს, რომ ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარება „ძალიან მნიშვნელოვანია“. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 53% აფასებს ევროკავშირის მიერ გაწეულ დახმარებას, როგორც „მნიშვნელოვანს“ ან „ძალიან მნიშვნელოვანს“ და მათ შორის 15% აფასებს მას, როგორც „ძალიან მნიშვნელოვანს“.

პასუხების ზოგადი განაწილება კითხვაზე – „**ყველაზე უკეთ ვის შეუძლია დღეს დაეხმაროს საქართველოს – ევროკავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ რუსეთს?**“ წინა წლების ანალოგიურია, ყველაზე ხშირად კვლავ ევროკავშირი სახელდება (35%). 2017 წლის შემდეგ არ შეცვლილა აშშ-ის დასახელების სიხშირე (23%). შემცირებულია რუსეთის დასახელების სიხშირე (2017 წელს რუსეთი საქართველოს მოსახლეობის 24%-მა დაასახელა, ხოლო 2019 წელს - 18%-მა). კვლავინდებურად განსხვავებულია ქართულენოვანი მოსახლეობისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პასუხები ამ კითხვაზე: 2019 წელს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა ქართულენოვან მოსახლეობასთან შედარებით 3-ჯერ უფრო ხშირად დაასახელეს რუსეთი (შესაბამისად, 45% და 15%), თუმცა უნდა

[13] https://eeas.europa.eu/delegations/georgia/50014/projects-georgia_en

აღინიშნოს, რომ 2017 წელთან შედარებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიერ რუსეთის დასახლების სიხშირე შემცირებულია (54% და 45%).

სხვადასხვა მოსაზრება შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, თუ რატომ ეხმარება ევროკავშირი საქართველოს. კითხვარში შეთავაზებული იყო 6 სავარაუდო მოსაზრება.[14] ინტერვიუების დროს რესპონდენტები აფიქსირებდნენ, თუ რამდენად ეთანხმებოდნენ ან არ ეთანხმებოდნენ ამ მოსაზრებებს. 2019 წელს მოსახლეობის 75% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ევროკავშირი ეხმარება საქართველოს, ვინაიდან „სურს სტაბილურობა თავის სამეზობლოში"; სწორედ ამ მიზეზს დაეთანხმა ყველაზე ხშირად როგორც ქართულენოვანი მოსახლეობა, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები (შესაბამისად, 80% და 36%).[15] სიხშირით მეორე ადგილზეა მიზეზი: „[ევროკავშირი] დაინტერესებულია ევროკავშირში მიგრანტთა ნაკადის შემცირებით"; მას მოსახლეობის 60% დაეთანხმა (ქართულენოვანი მოსახლეობის 64% და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 27%). მოსახლეობის ყველაზე მცირე წილი (36%) დაეთანხმა მოსაზრებას, რომ გაწეული დახმარების მეშვეობით ევროკავშირს სურს, თავისი ზეგავლენის ქვეშ მოაქციოს საქართველო.[16]

მიუხედავად იმისა, რომ საველე სამუშაოების დროს ამ კითხვისთვის ბარათი იყო გამოყენებული, ქართულენოვანი მოსახლეობის 28%-სა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 40%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რომელია, მათი აზრით, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარების ძირითადი სახეობა. ქვეყნის მასშტაბით მიღებული პასუხების განაწილების თანახმად, 2019 წელს შედარებით მკვეთრად გამოიკვეთა პასუხი „ჰუმანიტარული დახმარება" (33%). სიხშირით მეორე ადგილზეა პასუხი- „ინვესტიციების ჩადება საქართველოს ეკონომიკაში" (18%). საინტერესოა, რომ ეს უკანასკნელი პასუხი („ინვესტიციების ჩადება საქართველოს ეკონომიკაში") დასახელდა აგრეთვე, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სასურველი დახმარების სახეობა, რომელსაც მოსახლეობის 22% ისურვებდა; 24% კი, უპირველეს ყოვლისა, ისურვებდა დახმარების მიღებას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით. საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 6%-მა განაცხადა, რომ საქართველოსთვის ყველაზე დიდი დახმარება ევროკავშირის მხრიდან იქნებოდა „ჰუმანიტარული დახმარება გაჭირვებული მოსახლეობისთვის". შესაბამისად, არის ნაწილობრივი დამთხვევა დახმარების ფორმებს შორის, რომელთა მიღებაც მოსახლეობას სურს და დახმარების ფორმებს შორის, რომლებსაც, მოსახლეობის აზრით, ქვეყანა იღებს

---

[14] შემოთავაზებული სავარაუდო მოსაზრებებია: „ევროკავშირი ეხმარება ყველა განვითარებად ქვეყანას, მათ შორის, საქართველოს", „ევროკავშირი დაინტერესებულია საქართველოს სტაბილურობით, რათა ჩვენი ტერიტორია გამოიყენოს ევროპაში ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისათვის", „საქართველო არის მსოფლიოში სამაგალითო ახალი დემოკრატიული ქვეყანა და ევროკავშირს ამიტომ სურს მისი შემდგომი განვითარება", „ევროკავშირს სურს სტაბილურობა თავის სამეზობლოში", „დაინტერესებულია ევროკავშირში მიგრანტთა ნაკადის შემცირებით", „ევროკავშირს სურს თავისი ზეგავლენის ქვეშ მოაქციოს საქართველო".

[15] პასუხების ჯამი – „ვეთანხმები" და „სავსებით ვეთანხმები".

[16] კითხვარში შეთავაზებულ სხვა მიზეზებს რაც შეეხება, მოსახლეობის 56% დაეთანხმა, რომ *„ევროკავშირი ეხმარება ყველა განვითარებად ქვეყანას და მათ შორის საქართველოს"*; 53%-ის აზრით, *„ევროკავშირი დაინტერესებულია საქართველოს სტაბილურობით, რათა ჩვენი ტერიტორია გამოიყენოს ევროპაში ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისათვის"*, ხოლო 41% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ *„საქართველო არის მსოფლიოში სამაგალითო ახალი დემოკრატიული ქვეყანა და ევროკავშირს ამიტომ სურს მისი შემდგომი განვითარება"*.

ევროკავშირის მხრიდან. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის მხოლოდ 1%-მა განაცხადა, რომ საქართველოს არ სჭირდება დახმარება ევროკავშირისგან; ფაქტობრივად არ გაჟღერებულა დახმარების მიღების სურვილი ისეთ სფეროებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: მედიის განვითარების ხელშეწყობა, სამართალდამცავი სისტემის რეფორმის ხელშეწყობა და შეიარაღებული ძალების აღჭურვა.

არ არის შეცვლილი მოსახლეობის წარმოდგენები იმის თაობაზე, თუ რამდენად მიზნობრივად იხარჯება ევროკავშირის მიერ გაწეული დახმარება. 20% პასუხობს, რომ ეს დახმარება საერთოდ არ იხარჯება მიზნობრივად, 40%-ის აზრით, ის იხარჯება „უფრო არამიზნობრივად, ვიდრე მიზნობრივად“.[17] 2017 წლის ანალოგიურად, აბსოლუტურ უმცირესობაში არიან ისინი, ვინც უპასუხა, რომ ეს დახმარება „სრულიად მიზნობრივად“ იხარჯება (3%). მიღებულ პასუხებში არ შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავებები ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით.

მნიშვნელოვანია მოსახლეობის მოსაზრებების შესწავლა იმასთან დაკავშირებით, თუ ვისთვის მოაქვს ყველაზე მეტი სარგებელი ევროკავშირის დახმარებას, რომელიც საქართველოსთვისაა გამოყოფილი.[18] ამ კითხვისთვისაც გამოყენებული იყო ბარათი პასუხის შემდეგი ვარიანტებით: საქართველოში მცხოვრები სტუდენტებისთვის, პენსიონერებისთვის, უმუშევრებისთვის, კვალიფიციური მუშახელისთვის, არაკვალიფიციური მუშახელისთვის, ბიზნესმენებისთვის, პოლიტიკოსებისა და/ან მაღალჩინოსნებისთვის, ჟურნალისტებისთვის, საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის, საქართველოში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისა და ევროპელი მაღალჩინოსნებისთვის.[19] უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში ამ კითხვაზე მიღებული პასუხების განაწილება ფაქტობრივად არ შეცვლილა: წინა წლების ანალოგიურად, პოლიტიკოსები და/ან მაღალჩინოსნები (35%) და ბიზნესმენები (23%) სახელდებიან იმ ორ ჯგუფად, ვისთვისაც, მოსახლეობის აზრით, ევროკავშირის დახმარებას ყველაზე მეტი სარგებელი მოაქვს. 17%-17%-მა დაასახელა სტუდენტები და „საქართველოს მთელი მოსახლეობა“. 12%-მა დაასახელა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში მუშაობენ. დანარჩენი ჯგუფები 10%-ზე ნაკლებმა დაასახელა; საინტერესოა, რომ ხალხი არ მოიაზრებს ჟურნალისტებს იმ ჯგუფად, ვისთვისაც რაიმე სარგებელი მოაქვს ევროკავშირის დახმარებას (1%). ზოგადად, 2019 წელს ქართველი ან ევროპელი პოლიტიკოსები და/ან მაღალჩინოსნები და ბიზნესმენები საერთო ჯამში 67%-მა დაასახელა, ხოლო სხვა ჯგუფები (პენსიონერები, სტუდენტები, უმუშევრები, კვალიფიციური თუ არაკვალიფიციური მუშახელი და ზოგადად მოსახლეობა) – 60%-მა,[20] რაც ნიშნავს, რომ არსებულ წარმოდგენებში იმის შესახებ, თუ ვინ

[17] ამ კითხვას არ უპასუხეს მათ, ვინც წინა კითხვებზე უპასუხა, რომ ევროკავშირი არ უწევს ამჟამად დახმარებას საქართველოს, ან ვისაც გაუჭირდა პასუხის გაცემა ამჟამინდელი დახმარების ფორმების შესახებ (ჯამში 37%-მა).

[18] ამ კითხვას არ უპასუხეს მათ, ვინც წინა კითხვებზე უპასუხა, რომ ევროკავშირი არ უწევს ამჟამად დახმარებას საქართველოს, ან ვისაც გაუჭირდა პასუხის გაცემა ამჟამინდელი დახმარების ფორმების შესახებ (ჯამში 37%-მა).

[19] ყოველ რესპონდენტს ორი პასუხის ვარიანტის შერჩევა შეეძლო.

[20] ამ დაჯგუფებაში არ არის გათვალისწინებული ორი ჯგუფი: საქართველოში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები (12%) და ჟურნალისტები (1%), ვინაიდან არ არის შესაძლებელი დანამდვილებით დადგენა, თუ რომელ სოციალურ ფენას მიაკუთვნებს მოსახლეობა ამ ჯგუფების წარმომადგენლებს.

სარგებლობს ყველაზე მეტად ევროკავშირის დახმარებით, საკმაოდ თანაბრად ფიგურირებს საზოგადოების სხვადასხვა ფენები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის ცოდნა ევროკავშირის მიერ გაწეული დახმარების შესახებ არ არის სრული და არსებობს ეჭვები ამ დახმარების მიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებით, მოსახლეობას მაინც მიაჩნია, რომ ეს დახმარება ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. მოსახლეობის დიდი ნაწილის აზრით, ევროკავშირის დახმარებას ყველაზე მეტად პოლიტიკოსების, მაღალჩინოსნებისა და ბიზნესმენებისთვის მოაქვს სარგებელი, თუმცა, საზოგადოების რიგითი წარმომადგენლებიც ჯამში თითქმის ანალოგიური სიხშირით სახელდებიან, როგორც ევროკავშირის დახმარების მომხმარებლები. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა, უპირველეს ყოვლისა, მიესალმება დახმარების ისეთ ფორმებს, რომლებიც შეუწყობს ხელს ქვეყნის წინაშე მდგარი ყველაზე მწვავე პრობლემების – ეკონომიკურ განვითარებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის – გადაჭრას.

ევროინტეგრაცია

2019 წელს საქართველოს მოსახლეობის 71% მხარს დაუჭერდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. მოსახლეობის მხოლოდ 10% არ დაუჭერდა მხარს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას და კიდევ 7% არ მიიღებდა მონაწილეობას რეფერენდუმში; 12%-ს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

2019 წელს მიღებული პასუხების განაწილება 2017 წელს მიღებული შედეგების ანალოგიურია. ევროპის ფონდის გამოკითხვების 2009, 2011 და 2013 წლების ტალღებში ევროინტეგრაციის ყველაზე მაღალი მხარდაჭერა დაფიქსირდა – შესაბამისად, 79%, 80% და 78%; 2009 წელს მოსახლეობის მხოლოდ 2%-მა უპასუხა, რომ არ დაუჭერდა მხარს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. გამოკითხვის 2015 წლის ტალღაში ყველაზე თავშეკავებული მხარდაჭერა დაფიქსირდა: მოსახლეობის 61%-მა განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, 11% არ დაუჭერდა მხარს, ხოლო 17%-ს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. თუმცა, 2017 და 2019 წლებში ევროინტეგრაციის მხარდაჭერა კვლავ გაიზარდა.

სიახლე არ არის, რომ ქართულენოვანი მოსახლეობა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები განსხვავებულად პასუხობენ ამ კითხვას. 2019 წელს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხოლოდ 33% დაუჭერდა მხარს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. ამასთან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფრო დიდი წილი პასუხობს, რომ არ მიიღებდა მონაწილეობას რეფერენდუმში (17%) და დაახლოებით მესამედს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა (33%).

ზოგადად, ევროინტეგრაციის მომხრეთა შორის ჭარბობს მაღალი განათლების მქონე მოსახლეობა - ისინი, ვისაც ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი აქვს მიღებული (შესაბამისად, 83% და 79%). ასაკის მატებასთან ერთად ევროინტეგრაციის მხარდაჭერა იკლებს, თუმცა მცირედით - 60 წლის ან უფროსი მოსახლეობის დიდი უმრავლესობაც (66%) აცხადებს, რომ მხარს დაუჭერდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას.

ისინი, ვინც მხარს დაუჭერდა საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში, ამის სამ ძირითად მიზეზს ასახელებენ: *„გაუმჯობესდება ჩემი ეკონომიკური*

მდგომარეობა“ (54%), *„საქართველო მეტად იქნება დაცული საგარეო საფრთხეებისგან“* (21%) და *„გაიზრდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი“* (14%).[21]

კითხვაზე- **„თქვენი აზრით, უჭერს თუ არა მხარს საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში?“** მოსახლეობის 68%-მა დადებითი პასუხი გასცა. თუმცა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შემთხვევაში ეს წილი თითქმის 30%-ით დაბალია და 39%-ს შეადგენს.

მოსახლეობის თითქმის მესამედს გაუჭირდა პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ როდის გახდება, მათი აზრით, საქართველო ევროკავშირის წევრი.[22] 2015 და 2017 წლების მსგავსად, ამ ჯგუფის წარმომადგენელთა 11% პესიმისტურადაა განწყობილი და თვლის, რომ საქართველო ვერასოდეს გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს შესაბამისი ჯგუფის წარმომადგენელთა მხოლოდ 1% ფიქრობდა ასე. 2019 წლის შედეგების მიხედვით, ამ ჯგუფის წარმომადგენელთა დაახლოებით მესამედი მიიჩნევს, რომ საქართველო „5 წელიწადში ან უფრო ნაკლებ დროში“ (15%) ან 6-10 წელიწადში (19%) გახდება ევროკავშირის წევრი. კიდევ 19%-ის აზრით, ამისთვის 10 წელზე მეტი დრო იქნება საჭირო. 2009 წლის შემდეგ 38%-დან 50%-მდეა გაზრდილი საქართველოს მოსახლეობის წილი, ვისაც სჯერა, რომ ევროკავშირის ამჟამინდელი წევრი ქვეყნების მთავრობების უმრავლესობა მხარს დაუჭერს საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში.

არსებული ოპტიმიზმისა და ევროკავშირის ქვეყნების მთავრობების მხარდაჭერის იმედის პარალელურად, საქართველოს მოსახლეობა ხედავს იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უშლის ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას. მოსახლეობის 39%-ის აზრით, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას ყველაზე მეტად ტერიტორიული კონფლიქტები უშლის ხელს. სიხშირით მეორე ადგილზეა პოლიტიკური არასტაბილურობა (25%), ხოლო მესამეზე – რუსეთი (19%). მოსახლეობის მხოლოდ 2%-ს მიაჩნია, რომ საქართველოს არაფერი უშლის ხელს, რომ ევროკავშირის წევრი გახდეს.

გამოკითხვის ფარგლებში შეფასდა მოსახლეობის მოსაზრებები საქართველოს მზადყოფნის შესახებ ევროკავშირის წევრობისთვის ექვს სფეროში: დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, უმცირესობათა უფლებების დაცვა, კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ სფეროებთან მიმართებით მოსახლეობის 48%-დან 58%-მდე პასუხობს, რომ საქართველო ჯერ არ არის მზად ევროკავშირის წევრობისთვის (პასუხების ჯამი- „ნამდვილად არ არის მზად“ და „უფრო არა, ვიდრე კი“), უარყოფითი პასუხების სიხშირე აღემატება დადებითი პასუხების სიხშირეს. ამ კითხვებზე მიღებული უარყოფითი და დადებითი პასუხების თანაფარდობა წარმოადგენს კოეფიციენტს, რომელიც ასახავს მოსახლეობის წარმოდგენას საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მზადყოფნაზე.[23]

---

[21] ამ კითხვისთვის გამოყენებული იყო ბარათი.

[22] ეს კითხვა განკუთვნილი იყო მხოლოდ მათთვის, ვინც სწორად უპასუხა კითხვას საქართველოს ევროკავშირში წევრობის შესახებ.

[23] ამ კოეფიციენტის მიღების მიზნით უარყოფითი პასუხების ჯამი („ნამდვილად არ არის მზად“ და „უფრო არა, ვიდრე კი“) გაიყო დადებითი პასუხების ჯამზე („ნამდვილად მზად არის“ და „უფრო კი, ვიდრე არა“). მაგალითად, კანონის უზენაესობის სფეროში უარყოფითი პასუხების ჯამია 58%, ხოლო

დასახელებული სფეროებიდან საქართველოს მოსახლეობა ყველაზე უმნიშვნელო ბარიერად მოიაზრებს უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხს - უარყოფითი და დადებითი პასუხების თანაფარდობა 1,33-ია. დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების სფერო შედარებით უფრო მნიშვნელოვან ბარიერად მოიაზრება (კოეფიციენტი 1,59-ია); შემდეგია ადამიანის უფლებების დაცვის სფერო (კოეფიციენტი 1,64), კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა (კოეფიციენტი 2,07), კანონის უზენაესობა (კოეფიციენტი 2,15) და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის კანონმდებლობასთან (კოეფიციენტი 2,46).

მოსახლეობის მხოლოდ 8%-ს აქვს იმედი, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის გაღრმავება მეტ-ნაკლებად დადებითად აისახება საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე (პასუხების ჯამი- „ძალიან დადებითად [აისახება]“ და „უფრო დადებითად [აისახება], ვიდრე უარყოფითად“). მოსახლეობის მხოლოდ მეათედს მიაჩნია, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის გაღრმავება საერთოდ არ აისახება საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე, ხოლო უმრავლესობა (66%) ფიქრობს, რომ ევროკავშირთან დაახლოებას რუსეთთან ურთიერთობის გაუარესება მოჰყვება. ეს შედეგები 2015 და 2017 წელს მიღებული შედეგების ანალოგიურია; 2009, 2011 და 2013 წლებში კი მოსახლეობის 38%-დან 46%-მდე ელოდა რუსეთთან ურთიერთობის გაუარესებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის გაღრმავების შედეგად.

ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებული მოლოდინები

საქართველოს მოსახლეობის მოლოდინები ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით რამდენიმე კომპონენტიანი კითხვის მეშვეობით შეფასდა: რესპონდენტებმა 5-ბალიანი სკალის გამოყენებით გაზომეს საკუთარი მოლოდინები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიცვლება მდგომარეობა 17 სფეროში საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში. სურათის მრავალმხრივ შესწავლის მიზნით, განხილული სფეროები ფრიად განსხვავებული იყო: სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, უმცირესობათა უფლებების დაცვა, მოსახლეობის შემოსავალი და სხვა.

წინა წლების ანალოგიურად, ამ სფეროების უმრავლესობასთან მიმართებით ევროკავშირში გაწევრიანება დადებითი ცვლილებების მოლოდინს უკავშირდება. მოსახლეობის 71% პასუხობს, რომ, თუ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, ქვეყანაში გაიზრდება განათლების ხარისხი (პასუხების ჯამი- „საგრძნობლად გაიზრდება“ და „გაიზრდება“). დაახლოებით ორ მესამედს მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი აქვს ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით: მათი აზრით, გაიზრდება სამუშაო ადგილების რაოდენობა (ასე ფიქრობს 68%), პენსიების ოდენობა (65%), მოსახლეობის შემოსავალი (65%), სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა (62%); 60%-ის აზრით, შემცირდება სიღარიბე. ამავდროულად, 44% ელის ფასების ზრდას ძირითად სამომხმარებლო პროდუქტებზე, თუმცა, 19%-ის აზრით, ეს ფასები შემცირდება, კიდევ 19%-ის აზრით კი - იგივე დარჩება.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებს რაც შეეხება, საქართველოს მოსახლეობის 64%-ის აზრით, თუ ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდება,

---

დადებითი პასუხების ჯამი - 27%. მიღებული კოეფიციენტი 2,15-ს უდრის (58% ÷ 27%), ანუ მათი წილი, ვისაც მიაჩნია, რომ საქართველო არ არის მზად ევროკავშირის წევრობისთვის, 2,15-ჯერ აღემატება მათ წილს, ვისაც მიაჩნია, რომ მზადაა. რაც უფრო მაღალია მიღებული კოეფიციენტი, მით უფრო მაღალია მოსახლეობის სკეპტიციზმი საქართველოს მზადყოფნასთან დაკავშირებით შესაბამის სფეროში.

გაიზრდება საქართველოს უსაფრთხოების დონე; მოსახლეობის იგივე წილი ფიქრობს, რომ გაიზრდება სიტყვის თავისუფლება. 61%-ის აზრით, გაიზრდება სამართლიანი არჩევნების შესაძლებლობა. დაახლოებით თანაბარი წილი ფიქრობს, რომ გაუმჯობესდება მდგომარეობა უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში (59%), გაიზრდება სასამართლოების დამოუკიდებლობა (57%) და საკუთრების უფლების დაცვის შესაძლებლობა (56%); 54%-ის აზრით, შემცირდება კორუფციის დონე. ამასთან, იმის მოლოდინი, რომ ევროკავშირში გაწევრიანება დაეხმარება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, შედარებით თავშეკავებულია - ასე ფიქრობს მოსახლეობის 48%, ანალოგიური შედეგი იყო 2017 წელს.

გარდა ზემოთ განხილული სფეროებისა, გამოიკვეთა ორი სფერო, რომელთა მიმართაც საქართველოს მოსახლეობის მოლოდინები არაერთგვაროვანია. თუ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, მოსახლეობის 38%-ის აზრით, გაიზრდება ქვეყნიდან წასვლის მსურველთა რაოდენობა, ხოლო მოსახლეობის 34% საპირისპირო მოსაზრებას იზიარებს. ცდომილების გათვალისწინებით ეს ორი ჯგუფი რაოდენობრივად დაახლოებით ტოლია.[24] 2017 წლის შემდეგ ეს თანაფარდობა საკმაოდ შეცვლილია - ორი წლის წინ მოსახლეობის 56% ფიქრობდა, რომ თუ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, გაიზრდება ქვეყნიდან წასვლის მსურველთა რაოდენობა, მხოლოდ 21% ფიქრობდა, რომ ეს რაოდენობა შემცირდება, შესაბამისად, პოზიტიურია დინამიკა ამ მოლოდინთან დაკავშირებით.

მოსახლეობის მხოლოდ 23% ფიქრობს, რომ, თუ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, გაიზრდება ქართული ტრადიციების პატივისცემა. 22% საპირისპირო აზრს იზიარებს, 42% კი ფიქრობს, რომ არაფერი შეიცვლება ამ თვალსაზრისით. 2017 წლის ტალღის შედეგად მიღებული განაწილება ფაქტობრივად იგივეა, რაც ამ მოსაზრებების სტაბილურობაზე მიუთითებს.

გაცნობიერებული სირთულეების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ევროკავშირში გაწევრიანების მომხრედ რჩება და დადებითი მოლოდინები აქვს ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით. ყველაზე ხშირად ამ სურვილის უკან პრაგმატული მოტივები დგას: საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქვეყნის უკეთ დაცულობის, მათ შორის - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედი.

ვიზალიბერალიზაცია

2019 წლის გამოკითხვის ჩატარების დროისათვის საქართველოს მოქალაქეები უკვე ორი წლის მანძილზე სარგებლობდნენ შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმით.[25] თუმცა, როგორც 2019 წლის გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, საქართველოს მოსახლეობის ცოდნა ვიზალიბერალიზაციის პირობების შესახებ 2017 წლის მონაცემებთან შედარებით ზოგ შემთხვევაში შესამჩნევად გაუარესებულია. კერძოდ, 13%-ით არის შემცირებული საქართველოს მოსახლეობის წილი, ვინც პასუხობს, რომ უვიზო რეჟიმის პირობებით სარგებლობისას აუცილებელია მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დადასტურება (შესაბამისად, 45% და 32%); 8%-ით ნაკლები (24%) პასუხობს, რომ

[24] იხ. სქოლიო 10.

[25] უვიზო მიმოსვლა ხანმოკლე (3 თვემდე ხანგრძლივობის) ვიზიტების შემთხვევაშია შესაძლებელი, 90 დღით 180 დღის მანძილზე.

აუცილებელია მგზავრს საზღვრის გადაკვეთისას თან ჰქონდეს უცხოეთში საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი დოკუმენტები (სასტუმროს ჯავშანი ან მასპინძლის მისამართი). ვიზალიბერალიზაციის სხვა მოთხოვნების შემთხვევაში, როგორებიცაა ბიომეტრიული პასპორტის (78%-78%), სამოგზაურო დაზღვევისა (24%-25%) და საქართველოში უკან დასაბრუნებელი ბილეთის ქონა (40%-36%), 2017 და 2019 წლების მონაცემები ფაქტობრივად არ განსხვავდება.

ისევე, როგორც 2017 წელს, 2019 წლის გამოკითხვის შედეგები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ცოდნის ნაკლებობას ვიზალიბერალიზაციის შესახებ. 2017 და 2019 წლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 42% და 37% (შესაბამისად) ამბობდა, რომ არ იცის, რომელი საბუთები სჭირდება საქართველოს მოქალაქეს, რათა უვიზოდ იმგზავროს ევროპის ე.წ. შენგენის ზონის ქვეყნებში – შედარებისთვის, ქართულენოვანი მოსახლეობის წილი, რომელსაც არ ჰქონდა ამ კითხვაზე პასუხი, 2019 წელს 16% იყო.

კითხვაზე- **„როგორ ფიქრობთ, უვიზო რეჟიმის შედეგად მიიღებენ თუ არა საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირის ქვეყნებში მუშაობის უფლებას?“** 2019 წელს დაფიქსირდა ცოდნის გაუარესება 2017 წელთან შედარებით. 2017 წელს მოსახლეობის მხოლოდ მეოთხედმა უპასუხა დადებითად ამ კითხვას, ხოლო 2019 წელს - მოსახლეობის 40%-მა. ამ შემთხვევაში ქართულენოვანი მოსახლეობის ცოდნის დონეა შემცირებული: 62%-დან 44%-მდე, მაშინ, როდესაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ დაფიქსირებული ცოდნის დონე არ შეცვლილა.

2019 წლის გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის ცოდნის დონე ვიზალიბერალიზაციის მოთხოვნების შესახებ არ არის გაუმჯობესებული 2017 წლის მონაცემებთან შედარებით, ხოლო ზოგ შემთხვევაში შესამჩნევადაა გაუარესებული. საგრძნობლად განსხვავდება ქართულენოვანი მოსახლეობისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ცოდნის დონე, რაც მიუთითებს ვიზალიბერალიზაციის საკითხებზე მიზნობრივი საინფორმაციო კამპანიის განახლების, ან გაძლიერების აუცილებლობას.

საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური შეხედულებები და ღირებულებები

პოლიტიკური შეხედულებები

საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად, როგორც ქართულენოვანი მოსახლეობა, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, სამუშაო ადგილების საკითხს ასახელებენ (56% და 65%) – ევროპის ფონდის გამოკითხვების ყველა ტალღაში ეს საკითხი სახელდება ყველაზე ხშირად.[26] ამ საკითხის გარდა ქართულენოვანი მოსახლეობა დაახლოებით თანაბარი სიხშირით გამოყოფს სიღარიბისა (41%) და ტერიტორიული მთლიანობის (38%) საკითხებს, ხოლო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები – ფასების ზრდასა (40%) და სიღარიბეს (39%). ამ განსაკუთრებით მწვავე საკითხების ფონზე ევროკავშირში გაწევრიანება არ სახელდება პრიორიტეტულ საკითხებს შორის,

[26] გამოყენებული იყო ბარათი, საიდანაც შესაძლებელი იყო მაქსიმუმ სამი პასუხის ვარიანტის არჩევა.

პასუხის ეს ვარიანტი ქართულენოვანი მოსახლეობის 8%-მა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 4%-მა დაასახელა.

საქართველოს მოსახლეობის შეფასებები იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა საქართველო დემოკრატიული ქვეყანა, ან ვითარდება თუ არა ის დემოკრატიული მიმართულებით, დიდწილად 2017 წლის შედეგების ანალოგიურია. 2019 წელს მოსახლეობის აბსოლუტური უმცირესობა (2%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ *„საქართველო უკვე დემოკრატიული ქვეყანაა და გაუმჯობესებას აღარ საჭიროებს“*, ხოლო 39%-ის აზრით, *„საქართველო უკვე დემოკრატიული ქვეყანაა, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროებს გაუმჯობესებას“*. 28% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ *„საქართველო ჯერ არ არის დემოკრატიული, მაგრამ ქვეყანა ამ მიმართულებით ვითარდება“* და კიდევ 21% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ *„შესაძლოა, მომავალში საქართველო დემოკრატიულ ქვეყნად იქცეს, მაგრამ ახლა ის ამ მიმართულებით არ ვითარდება“*. მცირეა აბსოლუტური სკეპტიკოსების წილი, ვისაც მიაჩნია, რომ *„საქართველო არ არის და არც არასოდეს იქნება დემოკრატიული ქვეყანა“* (7%). 2017 წლის ტალღის მსგავსად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პასუხები ამ კითხვაზე უფრო ოპტიმისტურია ქართულენოვანი მოსახლეობის პასუხებთან შედარებით.

2019 წელს მოსახლეობის თანაბარი ჯგუფები პასუხობენ, რომ *„ადამიანები ბავშვებივით არიან: მთავრობამ ისე უნდა იზრუნოს მათზე, როგორც მშობელი ზრუნავს შვილებზე“* და რომ *„მთავრობა დაქირავებულია ხალხის მიერ: ადამიანები უნდა იქცეოდნენ, როგორც უფროსები და აკონტროლებდნენ მთავრობას“* (ორივე შემთხვევაში 48%)[27]. ევროპის ფონდის გამოკითხვების წინა ტალღებშიც ანალოგიური სურათი იყო- არც ერთ მოსაზრებას არ მიუღია მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა. მათი წილი, ვინც დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ადამიანები ბავშვებივით არიან, 2009 წელს 45% იყო, 2011 და 2013 წლებში - 42%-42%, 2015 წელს – 51%, 2017 წელს – 52% და 2019 წელს – 48%. ეს მიუთითებს, რომ ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივმა პროცესებმა ჯერჯერობით ვერ გამოიწვია ჯერ კიდევ 2009 წელს დაფიქსირებული პატერნალისტური დამოკიდებულებების შესუსტება. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ყველაზე ახალგაზრდების (18-დან 30 წლამდე) შეფასებები ფაქტობრივად არ განსხვავდება 31-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის შეფასებებისგან: 2019 წელს 18-დან 30 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა 46% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ადამიანები ბავშვებივით არიან; 31-დან 44 წლამდე ასაკის მოსახლეობის იგივე წილი (46%) დაეთანხმა ამ მოსაზრებას, 45-დან 59 წლამდე ასაკის მოსახლეობის შემთხვევაში შესაბამისი წილი 45%-ია.

მამაკაცები და შედარებით მაღალი შემოსავლებისა და მაღალი განათლების მქონე მოსახლეობა უფრო ხშირად ეთანხმება მოსაზრებას, რომ მთავრობა ხალხის მიერაა დაქირავებული; იგივე უნდა ითქვას დედაქალაქის მაცხოვრებლების შესახებ. ამის საპირისპიროდ, სოფლად მცხოვრები მოსახლეობისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფრო დიდი წილი იზიარებს პატერნალისტურ შეხედულებებს. საგულისხმოა, რომ 2017 წელთან შედარებით 12%-ითაა გაზრდილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა წილი, ვინც უპასუხა, რომ მთავრობა დაქირავებულია ხალხის მიერ, თუმცა მათი 68% კვლავ ეთანხმება მოსაზრებას, რომ *„ადამიანები ბავშვებივით არიან“*.

[27] ამ კითხვისთვის გამოყენებული იყო ბარათი, რომელზეც მოყვანილი იყო ორივე მოსაზრება. რესპონდენტს უნდა შეერჩია მოსაზრება, რომელსაც ის ეთანხმება.

2009 წელთან შედარებით, როდესაც მოსახლეობის 57% აფიქსირებდა ინტერესს ქვეყნის როგორც შიდა, ასევე გარე პოლიტიკისადმი (მოყვანილია მათი პასუხების ჯამი, ვისაც „ძალიან“ და „საკმაოდ“ აინტერესებს პოლიტიკა), 2019 წელს შესაბამისი წილი 46%-მდეა შემცირებული. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების 35% აცხადებს, რომ აინტერესებს საქართველოს შიდა პოლიტიკა, 33%-ს აინტერესებს საქართველოს საგარეო პოლიტიკა.

როგორც ევროპის ფონდის გამოკითხვების შედეგების 11-წლიანი დინამიკა მოწმობს, მცირდება საქართველოს მოსახლეობის ნდობის დონე პოლიტიკური, საზოგადოებრივი თუ საერთაშორისო ინსტიტუტებისა და გაერთიანებების მიმართ. მხოლოდ სამი ინსტიტუტის – ქართული ჯარის (77%), რელიგიური აღმსარებლობის ინსტიტუტებისა (74%) და პოლიციის (51%) მიმართ დაფიქსირდა მოსახლეობის ნდობის შედარებით მაღალი მაჩვენებლები 2019 წელს (მოყვანილია „სრულად ვენდობი“ და „ვენდობი“ პოზიციების ჯამი).

საქართველოს მმართველი ორგანოებისა და ინსტიტუტების მიმართ უნდობლობის დონე ზოგ შემთხვევაში ნდობის დონეზე მაღალია, რაც ერთმნიშვნელოვნად ყურადსაღები გარემოებაა. კერძოდ, 2019 წელს მოსახლეობის 19%-მა უპასუხა, რომ ენდობა საქართველოს პარლამენტს, 35% კი არ ენდობა მას; საქართველოს პრემიერ-მინისტრს ენდობა 24% და არ ენდობა 37%; საქართველოს პრეზიდენტს ენდობა 27% და არ ენდობა 37%. მოსახლეობის ნდობა ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ უფრო მაღალია ცენტრალურთან შედარებით: მოსახლეობის 35% ენდობა და 25% არ ენდობა მას. ნდობის დონე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის მიმართ იდენტურია და 27%-ს შეადგენს; ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებს 24% უცხადებს უნდობლობას, ხოლო მედიას - 19%. მოსახლეობის 37% პასუხობს, რომ ენდობა სახალხო დამცველს, 13% კი აცხადებს, რომ არ ენდობა მას. მოსახლეობის 31% ენდობა ბანკებს, 34% კი პასუხობს, რომ არ ენდობა მათ. იმ 16 ორგანიზაციიდან, რომელთა მიმართაც მოსახლეობის ნდობის დონე გაიზომა, მოსახლეობა ყველაზე ნაკლებ ენდობა საქართველოს სასამართლო სისტემასა (17% ენდობა, 43% არ ენდობა) და პოლიტიკურ პარტიებს (13% ენდობა, 40% არ ენდობა).

საერთაშორისო გაერთიანებებისადმი, როგორებიცაა ევროკავშირი და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მოსახლეობის ნდობა 2017 წლის ტალღის მონაცემების ანალოგიურია. 2019 წლის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 45% უცხადებს ნდობას ევროკავშირს (მათ შორის 4% სრულად ენდობა მას), ხოლო 16% აცხადებს, რომ არ ენდობა მას. საინტერესოა, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისა და ქართულენოვანი მოსახლეობის მიერ დაფიქსირებული უნდობლობის მაჩვენებლები ბევრად არ განსხვავდება ერთმანეთისგან - შესაბამისად, 13% და 16%, თუმცა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ნდობის შედარებით დაბალ დონეს აფიქსირებენ (36%). ევროკავშირისადმი უნდობლობის დონე ასაკთან ერთად იზრდება: ყველაზე ახალგაზრდების (18-დან 30 წლამდე) 12% აცხადებს, რომ არ ენდობა ევროკავშირს, ხოლო ყველაზე ასაკოვანთა შორის (60 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) შესაბამისი წილი 19%-ია. მათ შორის, ვისაც ბაკალავრიატი აქვს დამთავრებული, 50% ენდობა ევროკავშირს, მათ შორის, ვისაც უფრო მაღალი განათლების დონე აქვს მიღებული (მაგისტრის ხარისხი ან დოქტორანტურა) - 53%.

რაც შეეხება გაეროს, საქართველოს მოსახლეობის 37% პასუხობს, რომ ენდობა მას, ხოლო 16% – არ ენდობა. გაეროსადმი ნდობაში ნაკლებადაა გამოკვეთილი

დემოგრაფიული განსხვავებები, თუმცა ამ შემთხვევაშიც უნდობლობის დონე ასაკთან ერთად იზრდება, ხოლო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები შედარებით დაბალ ნდობას აფიქსირებენ.

საქართველოში შემცირებულია ნდობა ძირითადი სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ, როგორებიცაა: პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტი, პოლიტიკური პარტიები და სასამართლო. ნდობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კვლავ ძალოვანი სტრუქტურებისა და რელიგიური ინსტიტუტების მიმართ ფიქსირდება, ხოლო ნდობა მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ მოსახლეობის მესამედზე ნაკლებს აქვს. ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივმა პროცესებმა ჯერჯერობით ვერ გამოიწვია ჯერ კიდევ 2009 წელს დაფიქსირებული პატერნალისტური დამოკიდებულებების შესუსტება. 2019 წელს მოსახლეობის ნახევარი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქვეყანა უკვე დემოკრატიულია, ან რომ დემოკრატიის მიმართულებით ვითარდება. ევროკავშირის მიმართ ნდობის დონე კი 2017 წლის შემდეგ არ შეცვლილა.

ღირებულებები

ევროპის ფონდის გამოკითხვის 2019 წლის ტალღის მონაცემების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ კარგი მოქალაქისთვის „ძალიან მნიშვნელოვანია“ დაიცვას ტრადიციები (66%) და დაეხმაროს თავისზე უფრო გაჭირვებულ ადამიანებს (72%).[28] მოსახლეობის 49% თვლის, რომ კარგი მოქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გააკეთოს საზოგადოებისთვის საჭირო საქმე როგორც მოხალისემ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ამავდროულად, მოსახლეობის მხოლოდ მესამედს მიაჩნია, რომ კარგი მოქალაქე კრიტიკული უნდა იყოს მთავრობისა ან ოპოზიციის მიმართ და მეხუთედს – რომ მან მონაწილეობა უნდა მიიღოს საპროტესტო აქციებში. გამოკითხვის ბოლო ტალღების (2015, 2017 და 2019 წლების) შედეგები, როგორც წესი, იდენტურია ამ თვალსაზრისით. თუმცა, 2009 წლის შემდეგ რამდენიმე ცვლილება შეინიშნება. ყველაზე თვალშისაცემია საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხალისეობის მხარდაჭერის ზრდა: 2009 წელს მოსახლეობის 21%-მა უპასუხა, რომ კარგი მოქალაქისთვის „ძალიან მნიშვნელოვანია“ მოხალისეობა, 27%-ის აზრით, ეს „უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უმნიშვნელო“; 12% ფიქრობდა, რომ მოხალისეობა „საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი“ კარგი მოქალაქისთვის. 2013 წლის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის წილი, ვინც პასუხობდა, რომ მოხალისეობა „საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი“ კარგი მოქალაქისთვის, 2%-მდე შემცირდა, თუმცა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შემთხვევაში 10% შეადგინა როგორც 2017 წელს, ასევე- 2019-ში. ამავდროულად, მათი წილი, ვინც პასუხობს, რომ მოხალისეობა „ძალიან მნიშვნელოვანია“ კარგი მოქალაქისთვის, ბოლო წლებში საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს შეადგენს, ხოლო პასუხების ჯამი- „ძალიან მნიშვნელოვანია“ და „უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უმნიშვნელო“ 2019 წელს 89% იყო.[29]

---

[28] ამ კითხვისთვის გამოყენებული იყო ბარათი 4-ბალიანი სკალით: „საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი“, „უფრო უმნიშვნელოა, ვიდრე მნიშვნელოვანი“, „უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უმნიშვნელო“ და „ძალიან მნიშვნელოვანია“.

[29] 2019 წელს ეთნიკური უმცირესობებს წარმომადგენელთა 41%-მა უპასუხა, რომ მოხალისეობა „ძალიან მნიშვნელოვანია“ კარგი მოქალაქისთვის, 29%-ის აზრით, „უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უმნიშვნელო“.

2009 წლის შემდეგ თითქმის გაორმაგდა მოსახლეობის წილი, ვისაც მიაჩნია, რომ კარგი მოქალაქისთვის მნიშვნელოვანია მონაწილეობა მიიღოს საპროტესტო აქციებში. 2009 წელს მოსახლეობის 12%-მა უპასუხა, რომ ეს „ძალიან მნიშვნელოვანია“ კარგი მოქალაქისთვის, 18%-ის აზრით, ეს „უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უმნიშვნელო“. 2019 წელს შესაბამისი მაჩვენებლები 22% და 36% იყო.

2009 წლის შემდეგ გაზრდილია აგრეთვე საქართველოს მოსახლეობის წილი, ვისაც მიაჩნია, რომ კარგი მოქალაქე უნდა იყოს კრიტიკული მთავრობის მიმართ. 2009 წელს მოსახლეობის 25%-მა უპასუხა, რომ ეს თვისება „ძალიან მნიშვნელოვანია“ კარგი მოქალაქისთვის, 27%-ის აზრით, ეს "უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უმნიშვნელო". 2019 წელს შესაბამისი მაჩვენებლები 33% და 39% იყო.

2013 წლის შემდეგ გაზრდილია დადებითი პასუხების წილი კითხვაზე- **„რამდენად გამართლებულია ან არ არის გამართლებული საკუთარი ნებით პოლიციისთვის ჩვენების მიცემა, თუ დანაშაულის თვითმხილველი გახდით?“** 2019 წელს მოსახლეობის 48%-მა უპასუხა, რომ ეს ყოველთვის გამართლებულია. ეს ზრდა განსაკუთრებით საგულისხმოა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შორის - 27%-დან 43%-მდე.

საქართველოს მოსახლეობის გაცხადებული დამოკიდებულება ქრთამის მიცემასთან დაკავშირებით სტაბილურად უარყოფითია - მხოლოდ 1%-ს მიაჩნია, რომ ეს გამართლებულია, 7% პასუხობს, რომ ქრთამის მიცემა „ზოგჯერ გამართლებულია, ზოგჯერ – არა“, და 90% - რომ „არასდროს არ არის გამართლებული“. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უმრავლესობა (74%) მიიჩნევს, რომ ქრთამის მიცემა არასდროსაა გამართლებული, რაც ქართულენოვანი მოსახლეობის შესაბამის წილთან (92%) შედარებით თითქმის 20%-ით ნაკლებია. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 20%-ის აზრით, ქრთამის მიცემა გამართლებულია ყოველთვის (6%) ან ზოგჯერ (14%).

საქართველოს მოსახლეობის გენდერული როლებისადმი დამოკიდებულებების შესწავლისას გამოვლინდა, რომ ტრადიციონალიზმი განსაკუთრებით ძლიერია. 2019 წელს გარკვეული ქცევების მიმართ დაფიქსირებული დამოკიდებულებები გენდერული ნორმების შესახებ ღრმად გამჯდარ წარმოდგენებზე მეტყველებს. კერძოდ, მოსახლეობის 25% პასუხობს, რომ მამაკაცისთვის „ყოველთვის გამართლებულია“ სექსუალური ურთიერთობა ქორწინებამდე; ქალისთვის კი მხოლოდ 7%-ს მიაჩნია ეს „ყოველთვის გამართლებულად“, 66%-ის აზრით, ეს „არასდროს არ არის გამართლებული“. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ამ კითხვაზე მიღებული პასუხების დინამიკა 2013 წლიდან ფაქტობრივად უცვლელია. ანალოგიურად, ჯერ კიდევ უაღრესად უმნიშვნელო ცვლილებებია მოსახლეობის დამოკიდებულებებში, თუ ქალი შვილს გააჩენს ქორწინების გარეშე: 2013 წელს ქართულენოვანი მოსახლეობის 56% და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 83% პასუხობდა, რომ ეს არასდროსაა გამართლებული; 2019 წლის შესაბამისი მაჩვენებლებია 50% და 74%.

2015 წლიდან ევროპის ფონდის გამოკითხვები სწავლობს მოსახლეობის მოსაზრებებს- ადამიანის უფლებები უფრო მნიშვნელოვანია თუ სახელმწიფო ინტერესები. ამ მიზნით გამოყენებულია სკალა ორი ურთიერთგამომრიცხავი დებულებით: *„სახელმწიფოს ინტერესები ყოველთვის ადამიანის უფლებებზე მაღლა უნდა დავაყენოთ“* და *„ადამიანის უფლებები უზენაესი ღირებულებაა,*

რომელიც დაცული უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა“.[30] მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ერთმნიშვნელოვნად აღიარებს ადამიანის უფლებების უზენაესობას, ეს შედეგი სტაბილურია გამოკითხვის ყველა ტალღაში 2015 წლის შემდეგ. ამ კითხვაზე მიღებული პასუხები საკმაოდ საგულისხმო განსხვავებებზე მიუთითებს ქართულენოვანი მოსახლეობისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებულ პოზიციებს შორის: 2019 წელს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხოლოდ 36% ერთმნიშვნელოვნად დაეთანხმა მოსაზრებას, რომ *„ადამიანის უფლებები უზენაესი ღირებულებაა, რომელიც დაცული უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა“*; ქართულენოვანი მოსახლეობის შემთხვევაში შესაბამისი წილი 55%-ია. მოსაზრებას, *„სახელმწიფოს ინტერესები ყოველთვის ადამიანის უფლებებზე მაღლა უნდა დავაყენოთ“*, მოსახლეობის მხოლოდ 6% დაეთანხმა ერთმნიშვნელოვნად.

სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა საქართველოში. როგორც წესი, მოსახლეობისთვის მიუღებელია უცხოელების მიერ არა მხოლოდ მიწის საკუთრებაში ქონა, არამედ, ხშირ შემთხვევაში, დამუშავებაც. ბოლო წლების მანძილზე საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის იზღუდება საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებისა ან მოხმარების უფლებები[31]. ევროპის ფონდის გამოკითხვების ფარგლებში გამოყენებული იყო სკალა ორი ურთიერთგამომრიცხავი დებულებით: *„საქართველოში მიწას უნდა ფლობდეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, მიუხედავად იმისა, როგორ გამოიყენებს ის ამ მიწას“* და *„საქართველოში მიწას უნდა ფლობდეს ის, ვინც უფრო მომგებიანად გამოიყენებს მას (მაგალითად: დაამუშავებს, ააშენებს, წიაღისეულს მოიპოვებს), მიუხედავად ამ პიროვნების მოქალაქეობისა“*.[32] 2015 წლის შემდეგ 33%-დან 49%-მდეა გაზრდილი მოსახლეობის წილი, რომელსაც ერთმნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ *„საქართველოში მიწას უნდა ფლობდეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, მიუხედავად იმისა, როგორ გამოიყენებს ის ამ მიწას“*. ამის საპირისპიროდ, მოსახლეობის მხოლოდ 13% (2015 წელი) და 10% (2019 წელი) ასევე ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ *„საქართველოში მიწას უნდა ფლობდეს ის, ვინც უფრო მომგებიანად გამოიყენებს მას (მაგალითად: დაამუშავებს, ააშენებს, წიაღისეულს მოიპოვებს), მიუხედავად ამ პირის მოქალაქეობისა“*. ამრიგად, 2019 წელს მოსახლეობის თითქმის ნახევარი რადიკალურად არ ეთანხმება საქართველოში მიწის გასხვისებას უცხოელებზე. მათი აზრის გათვალისწინებით, ვინც ამ პოზიციისკენ იხრება, თუმცა ნაკლებ რადიკალურად (ანუ ვინც შეთავაზებული სკალის კოდები ‘1’, ‘2’, ‘3’ და ‘4’ შეარჩია), მდგომარეობა მართლაც საგულისხმოა, რადგან მათი წილი 70%-ს აღწევს, მაშინ როდესაც მათი წილი, ვინც თვლის, რომ საქართველოში მიწას უნდა ფლობდეს ის, ვინც უფრო მომგებიანად გამოიყენებს მას (კოდები ‘6’-დან ‘10’-მდე) - მხოლოდ 18%-

[30] რესპონდენტები იყენებდნენ 11-ბალიან სკალას (0-დან 10-მდე), სადაც კოდი ‘0’ შეესაბამებოდა სრულ თანხმობას, რომ სახელმწიფოს ინტერესები ყოველთვის ადამიანის უფლებებზე მაღლა უნდა იყოს, ხოლო კოდი ‘10’ - სულ თანხმობას, რომ ადამიანის უფლებები უზენაესი ღირებულებაა.

[31] იხ. საქართველოს ორგანული კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საუთრების შესახებ, #4848-IIს, 25 ივნისი, 2019 წ., თბილისი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4596123?publication=0#DOCUMENT:1;.

[32] რესპონდენტები იყენებდნენ 11-ბალიან სკალას (0-დან 10-მდე), სადაც კოდი ‘0’ შეესაბამებოდა სრულ თანხმობას, რომ მიწას მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები უნდა ფლობდნენ, ხოლო კოდი ‘10’ - სულ თანხმობას, რომ მიწას უნდა ფლობდეს ის, ვინც უფრო მომგებიანად გამოიყენებს მას.

ია. ამ საკითხთან დაკავშირებით ეთნიკური უმცირესობების შეფასებები მცირედით განსხვავდება ქართულენოვანი მოსახლეობის პოზიციებისგან.

საქართველოს მოსახლეობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაჭირვებულთა დახმარება და ტრადიციების დაცვა, შედარებით ნაკლებ პრიორიტეტული – საპროტესტო აქციებში მონაწილეობა ან მოხალისეობა. 2019 წელს მხოლოდ 6%-ია მოსახლეობის წილი, ვინც ერთმნიშვნელოვან პრიორიტეტს ანიჭებს სახელმწიფოს ინტერესებს ადამიანის უფლებებთან შედარებით. ხშირ შემთხვევაში თვალშისაცემია განსხვავებები ქართულენოვან მოსახლეობასა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შორის, რომლებიც უფრო პატერნალისტურ შეხედულებებს იზიარებენ, განსაკუთრებით, როდესაც საუბარია ქალის სექსუალური თავისუფლების შესახებ. ევროპის ფონდის გამოკითხვების შედეგების თანახმად, ბოლო პერიოდში საქართველოს მოსახლეობის ღირებულებების თვალსაზრისით რადიკალური ცვლილებები არ დაფიქსირებულა.

დანართი #1. კვლევის მეთოდოლოგია

ევროპის ფონდის გამოკითხვის მეექვსე ტალღა ჩატარდა 2019 წლის 1 მარტიდან 20 მარტამდე.[33] სხვადასხვა ტალღის შედეგები მაქსიმალურად შედარებითი რომ იყოს, 2013 წლის შემდეგ ფაქტობრივად არ შეცვლილა კითხვარი (იხ. დანართი #3) და შერჩევის დიზაინი. გამოკითხვების შედეგები წარმომადგენლობითია საქართველოს ზრდასრული მოსახლეობისთვის, ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის გარდა. ზოგადად საქართველოს მოსახლეობის მასშტაბით წარმომადგენლობითობასთან ერთად, გამოკითხვის შედეგები წარმომადგენლობითია აგრეთვე ოთხი ძირითადი სტრატის მოსახლეობისთვის: დედაქალაქის სხვა ქალაქების სოფლებისა მ[34] და იმ დასახლებული პუნქტების, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები (აზერბაიჯანელები და სომხები).[35] შედეგების საშუალო ცდომილება +/-2.0%-ია.

თითოეულ სტრატაში პირველადი შერჩევის წერტილები შეირჩა ალბათურად, დარეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის პროპორციულად, შინამეურნეობები- სამარშრუტო შერჩევის მეთოდით, ხოლო რესპონდენტები- ამ შინამეურნეობებში კიშის ცხრილის საშუალებით.

2019 წელს 2,746 პირისპირ ინტერვიუ ჩატარდა პლანშეტური კომპიუტერების მეშვეობით (CAPI მეთოდი). გამოპასუხება საქართველოს მასშტაბით 49% იყო.[36] ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ პირველადი შერჩევის წერტილებში ინტერვიუების ენა შეიძლება ყოფილიყო ქართული, აზერბაიჯანული ან სომხური, რესპონდენტების არჩევანის მიხედვით.

საველე სამუშაოების ხარისხის შეფასებით მიზნით 2019 წლის 23 მარტიდან 26 მარტამდე ველის კონტროლი ჩატარდა. ამ მიზნით შეირჩა 8 პირველადი შერჩევის წერტილი. კონტროლის შედეგად არ დაფიქსირებულა რაიმე დარღვევა.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია შეწონილი შედეგები, რომლებიც მაქსიმალურად შეესაბამება გენერალური ერთობლიობის პოზიციას.

---

[33] ევროპის ფონდის ევროპული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში გამოკითხვის წინა ტალღები ჩატარდა 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში. ყველა ტალღის საველე სამუშაოები CRRC-საქართველომ განახორციელა.

[34] ამ სამი სტრატის მოსახლეობის მოსაზრებები ანგარიშში წარმოდგენილია, როგორც "ქართულენოვანი მოსახლეობის" მოსაზრებები.

[35] ამ სტრატის მოსახლეობის მოსაზრებებს შევისწავლით 2013 წლიდან. ანგარიშში ისინი წარმოდგენილია, როგორც "ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა" მოსაზრებები. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ დასახლებულ პუნქტებში ეთნიკური ქართველებიც ცხოვრობენ, ისევე როგორც სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, თუმცა მათი წილი ძალიან მცირეა. საერთო ჯამში ევროპის ფონდის გამოკითხვის 2019 წლის ტალღის ფარგლებში ამ დასახლებულ პუნქტებში გამოიკითხა 1154 რესპონდენტი, მათ შორის 574 სომეხი, 487 აზერბაიჯანელი, 78 ქართველი, 4 რუსი, 1 აფხაზი და 9 რესპონდენტი, რომელმაც სხვა ეთნიკურ ჯგუფს მიაკუთვნა თავი; ერთ რესპონდენტს გაუჭირდა თავისი ეთნიკური ჯგუფის დასახელება.

[36] გამოპასუხება განსხვავდებოდა სტრატის მიხედვით: დედაქალაქში მან 23% შეადგინა, სხვა ქალაქებში - 54%, სოფლებში - 68%, ეთნიკური უმცირესობების სტრატაში კი - 77%.

დანართი #2. ეთნიკური უმცირესობები

ევროპის ფონდის გამოკითხვები 2013 წლიდან საგანგებოდ შეისწავლის მოსაზრებებს იმ ეთნიკური უმცირესობებისა, რომლებიც კომპაქტურად არიან დასახლებული საქართველოში. წინა ტალღების ანალოგიურად, 2019 წელს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა წილი 10% იყო. დანართის მიზანია ამ ჯგუფის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების აღწერა.

საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობები აზერბაიჯანელები და სომხები არიან. გამოკითხვა, უპირველეს ყოვლისა, ამ ჯგუფების წარმომადგენელთა აზრის შესწავლას ისახავდა მიზნად. შეწონილი მონაცემების თანახმად, იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები (ანუ ე.წ. ეთნიკური უმცირესობების სტრატაში), აზერბაიჯანელების წილმა 66% შეადგინა, ხოლო სომხების წილმა - 27%.[37] ამ სტრატაში კითხვარების 64% აზერბაიჯანულ ენაზე შეივსო, ხოლო 26% - სომხურზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2019 წელს ამ სტრატის წარმომადგენელთა 38%-მა განაცხადა, რომ საერთოდ არ იცის ქართული ენა; ეს მაჩვენებელი არ არის შეცვლილი 2017 წელთან შედარებით. მხოლოდ 8%-მა შეაფასა ქართული ენის ცოდნის დონე, როგორც "მაღალი". უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით არ შეინიშნება რამდენადმე თვალშისაცემი განსხვავებები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: ამ მაჩვენებლის ცვლილება ცდომილების ფარგლებშია სხვადასხვა ასაკის წარმომადგენელთათვის.

საინტერესოა, რომ, თუმცა რუსული ენის ცოდნის თვითშეფასება უკეთესია, ის არ განსხვავდება რადიკალურად ქართული ენის ცოდნის დონის თვითშეფასებისგან.[38] ამ სტრატის წარმომადგენელთა მხოლოდ 11%-მა შეაფასა რუსული ენის ცოდნის დონე როგორც „მაღალი“, 22%-მა უპასუხა, რომ საერთოდ არ იცის რუსული ენა. სრულიად განსხვავებული სურათია ინგლისური ენის შემთხვევაში: იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, 81% აცხადებს, რომ საერთოდ არ იცის ინგლისური ენა, მხოლოდ 1% აფასებს ინგლისური ენის ცოდნის დონეს, როგორც „მაღალს“. ქართულენოვანი მოსახლეობის შემთხვევაში ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, 56% და 6%-ია.

წინა წლების შედეგების ანალოგიურად, განსხვავდება ქართულენოვანი მოსახლეობისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა განათლების დონე. 2019 წელს ქართულენოვანი მოსახლეობის 21%-მა განაცხადა, რომ მაგისტრის ხარისხი, ან უფრო მაღალი განათლების დონე ჰქონდა; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შემთხვევაში შესაბამისი წილი 3%-ია. სრული საშუალო განათლება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 51%-მა და ქართულენოვანი მოსახლეობის 34%-მა დააფიქსირა, როგორც მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური.

---

[37] როგორც ზემოთაა აღნიშნული, ამ სტრატის წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა აზერბაიჯანელი და სომეხია, აქ სხვა ეროვნებების წარმომადგენლებიც შეიძლება ცხოვრობდნენ, მათ შორის – ქართველები.

[38] რამდენადაც ამ სტრატის წარმომადგენელთა წილი მხოლოდ 10%-ია, შედეგების ცდომილება შედარებით მაღალია, 4%-5%-იანი განსხვავებები ცდომილების ფარგლებშია.

მოსახლეობის ორივე ჯგუფში იზრდება ინტერნეტის მოხმარების ინტენსივობა და თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ- ხელმისაწვდომობაც. 2015 წელთან შედარებით ზოგადად საქართველოში 37%-დან 54%-მდე გაიზარდა მოსახლეობის წილი, ვინც ყოველდღე სარგებლობს ინტერნეტით. თუ მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შესახებ ვისაუბრებთ, ეს წილი 18%-დან 38%-მდე გაიზარდა 2015 წლიდან 2019 წლამდე.

მოსახლეობის საქმიანობის სტრუქტურას რაც შეეხება, განსაკუთრებით თვალშისაცემია ორი განსხვავება ქართულენოვან მოსახლეობასა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შორის: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შორის დასაქმებულთა წილი (ვინც სრულ ან ნახევარ განაკვეთზე მუშაობს, სეზონური სამუშაოს ჩათვლით) თითქმის სამჯერ დაბალია (შესაბამისად, 10% და 28%), ხოლო დიასახლისთა წილი - ორჯერ მაღალი (24% და 11%). ეს განსხვავებები ფაქტობრივად უცვლელია 2013 წლის შემდეგ. მნიშნველოვანია აღინიშნოს, რომ დასაქმებულთა თანაფარდობა არ განსხვავდება სქესის მიხედვით - როგორც ქალების, ასევე კაცების შემთხვევაში ქართულენოვანი მოსახლეობის დასაქმებულთა წილი დაახლოებით სამჯერ აღემატება შესაბამის მაჩვენებელს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის. თვითდასაქმებულთა წილს რაც შეეხება, არსებული მცირე განსხვავებები ცდომილების ფარგლებშია. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ბევრად მცირე წილი ასახელებს ოჯახის რომელიმე წევრის ხელფასს ოჯახის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ (17%). ქართულენოვანი მოსახლეობის შემთხვევაში შემოსავლის ამ წყაროს 57% ასახელებს, თუმცა შედეგები განსხვავდება დასახლებული პუნქტის ტიპის მიხედვით: 62% დედაქალაქში, 67% სხვა ქალაქებსა და 45% სოფლებში.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ოჯახების შემოსავლის ორი ძირითადი წყაროა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვა (46%) და პენსიები და სახელმწიფო დახმარება (30%). საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელ წყაროს ქართულენოვანი მოსახლეობის უფრო დიდი წილი, 48% ასახელებს. ამ განსხვავებების ფონზე საკმაოდ მოულოდნელია, რომ, გამოკითხვის წინა ტალღების მიგნების ანალოგიურად, ორივე ჯგუფის წარმომადგენლები დაახლოებით ერთნაირად აფასებენ საკუთარი ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობას (ცხრილი #2).

ცხრილი #2.

თქვენს ირგვლივ მცხოვრები ოჯახების უმრავლესობასთან შედარებით როგორ შეაფასებდით თქვენი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას ამჟამად? როგორც ... *(%)*

	2017		2019	
	ეთნიკური უმცირესობები	ქართულენოვანი მოსახლეობა	ეთნიკური უმცირესობები	ქართულენოვანი მოსახლეობა
ძალიან კარგს	0	0	0	0
კარგს	7	5	7	7
საშუალოს	70	67	70	74
ცუდს	16	21	19	13
ძალიან ცუდს	4	5	3	3
არ ვიცი	1	1	1	1

ვინაიდან საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილება მჭიდრო კავშირშია რელიგიურ აღმსარებლობასთან, გასაკვირი არ არის, რომ ქართულენოვანი მოსახლეობა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სხვადასხვა რელიგიას მიაკუთვნებენ თავს - ქართულენოვანი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (90%) მართლმადიდებელი ქრისტიანია, უმცირესობების 67% - ისლამის მიმდევარი და 21% - სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევარი.